



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/103

„ 17 „ ივნისი 2021 წ.

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

თ. მჭედლიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, თამარ მჭედლიშვილი 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დასახუთება

თამარ მჭედლიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 2 მარტის №1/10 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 3 მარტიდან 17 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 11 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის თამარ მჭედლიშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35² მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 31 მარტს.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:

თამარ მჭედლიშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება. 2005-2020 წლებში იგი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივანი, შემდეგ მოსამართლის თანაშემწე.

თამარ მჭედლიშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-16 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თამარ მჭედლიშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა, ჯგუფში დაიკავა პირველი ადგილი. კანდიდატი იყო წარჩინებული მსმენელი.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

კანდიდატთან გასაუბრება:

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ თამარ მჭედლიშვილს გაესაუბრნენ 2021 წლის 7 ივნისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

კანდიდატის შეფასება:

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი თამარ მჭედლიშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

თამარ მჭედლიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 11-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრთა მიერ თამარ მჭედლიშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1030 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 85.92%-ია.

კენჭისყრის შედეგები:

2021 წლის 17 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 1 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, თამარ მჭედლიშვილმა მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა 7 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. გელაშვილი გიორგი - 0 ხმა
2. გზირიშვილი ალექსანდრე - 0 ხმა
3. ენუქიძე ნინო - 0 ხმა
4. კაჭაშვილი ლიანა - 0 ხმა
5. მჭედლიშვილი თამარ - 11 ხმა
6. ტყემელაშვილი რომეო - 0 ხმა
7. შამათავა ნანა - 0 ხმა

1 ბიულეტენი გაბათილდა.

დასკვნა:

კანდიდატის თამარ მჭედლიშვილის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა თამარ მჭედლიშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

